ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	ნინო სულაძე
საანგარიშო პერიოდი:	30.10.2025 – 20.10.2026 წ.წ.
თანამდებობა:	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს წევრი;
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი; 2. საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი.

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 15 სხდომა

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 14 სხდომა

❖ **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

დადგენილება - 83;

განკარგულება - 97.

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მუშაობაში მონაწილეობა:**

ა) კომისიები:

➢ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:

ჩატარდა - 11 სხდომა; დასწრება - 9 სხდომა.

➢ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია:

ჩატარდა - 15 სხდომა; დასწრება - 15 სხდომა.

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ყველა საკითხი მნიშვნელოვანია!

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

გასული ერთი წლის განმავლობაში ჩემი საქმიანობა მიმართული იყო რუსთავისთვის მნიშვნელოვანი საკითხების წამოწევის, მოქალაქეთა ინტერესების დაცვისა და ქალაქში არსებული გამოწვევების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისკენ.

განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს, საჯარო სკოლებში უსაფრთხო და სათანადო სასწავლო გარემოს შექმნასა და ბავშვების საჭიროებებს. წარვადგინე მნიშვნელოვანი ინიციატივა დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის უფასო სასკოლო კვების პროგრამის დანერგვის მოთხოვნით, რადგან ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს სრულფასოვანი კვების შესაძლებლობა, ხოლო ოჯახებს მეტი სოციალური მხარდაჭერა.

ჩემი საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო რუსთავის ეკოლოგიური მდგომარეობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკითხი. ჰაერის დაბინძურება ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე პირდაპირ აისახება. აუცილებელია ამ პრობლემის მიმართ ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა და გარემოს დაცვის საკითხის დღის წესრიგში მუდმივად შენარჩუნება. რუსთაველებისთვის მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომი, გამართული და მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სატრანსპორტო მომსახურება, განსაკუთრებით ქალაქსა და თბილისს შორის გადაადგილების მიმართულებით.

ჩემი საქმიანობის მთავარი ნაწილია მოქალაქეებთან შეხვედრები და მათი მოსაზრებების მოსმენა. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა სწორედ ეფუძნება მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს, ხოლო მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და მოითხოვონ შესაბამისი რეაგირება.

როგორც „ძლიერი საქართველო - ლელოს“ ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, ასევე ვმუშაობ ქალთა გაძლიერების, თანასწორობისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიმართულებით. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ქალებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები და მათი ხმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათანადოდ ისმოდეს.

ჩემთვის საკრებულოს წევრობა პასუხისმგებლობაა ქალაქისა და მისი მოსახლეობის წინაშე. ვაგრძელებ მუშაობას რუსთავისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მოქალაქეთა ინტერესების დაცვასა და ქალაქში არსებული გამოწვევების მოგვარების ხელშეწყობაზე, ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში.

თარიღი: 20.10.2026 წ.

ხელმოწერა: **ნინო სულაძე**